საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 47 07/08/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა # 19ა - ში მდებარე შენობის მეორე სართულზე 9.24 კვმ. ფართის (ს/კ 36.01.062.01/500) ს.ს.ი.პ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ" ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადითხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა # 19ა - ში მდებარე შენობის მეორე სართულზე 9.24 კვმ. ფართის (ს/კ 36.01.062.01/500) ს.ს.ი.პ აღსრულების ეროვნული ბიუროს

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

ბ. ზარბაძე

საკრებულოს თავმჯდომარე